დანართი1
„დამტკიცებულია“
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“
დირექტორის
2023 წლის 24 მარტის N02-09/24 ბრძანებით

კონკურსი

პოზიციის სრული დასახელება: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურში - მძღოლის პოზიციაზე;

ვაკანსიის ოდენობა: 2

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის N41

შრომის ანაზღაურება: 1350 ლარი;

გამოსაცდელი ვადა: 6 (ექვსი) თვე.

სამუშაოს აღწერილობა:

- უზრუნველყოფს მაუწყებელში დასაქმებული პირების უსაფრთხო გადაადგილებას დანიშნულების ადგილზე (უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით სხვა პირების უსაფრთხო გადაადგილებასაც);
- დაუგეგმავი გადაადგილების შესახებ დაუყონებლივ აცნობებს უშუალო უფროსს;
- სატრანსპორტო საშუალებას მართავს საკუთარ ცვლაში/განრიგში (საკუთარი დასვენების დღეებში წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვისა);
- უზრუნველყოფს სარგებლობაში გადაცემული სატრანსპორტო საშუალების მუდმივ მოწესრიგებას;
- დაუყონებლივ აწვდის ინფორმაცია უშუალო ხელმძღვანელს სატრანსპორტო საშუალების გაუმართავობის შესახებ ;
- ვალდებულია საკუთარ ცვლაში/განრიგში გამოცხადეს ფხიზელ მდგომარეობაში;
- მართვის უფლების ჩამორთმევის ან/და შეჩერების შემთხვევაში დაუყონებლივ აწვდის ინფორმაცია მაუწყებელს;
- შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს მაუწყებლის სხვა დასაქმებულების მხარდაჭერას (სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულს);
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ვალდებულია დაიცვას „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონითა და ქანონქვენდებარე ნორმატიული აქტებით დაწესებული მოთხოვნები (აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანს სრულად აანაზღაურებს მძღოლი);
- პასუხისმგებელია მასზე გადაცემული სატრანსპორტო საშუალების ჯეროვან/მართლზომიერ გამოყენებაზე;
- ასრულებს სამსახურის უფროსისა და საავტომობილო პარკის ხელმძღვანელის (უშუალო უფროსის) სამსახურებრივ მითითებებს

ძირითადი მოთხოვნები

- ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- შრომისმოყვარეობა;
- ენერგიულობა;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ

- განცხადება;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ცნობა (ნასამართლიანობის შესახებ, სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმება)
- ჯანმრთელობის ცნობა
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ფოტოსურათი;
- მართვის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტი B კატეგორია, სასურველია C)

კონკურსის ეტაპები

- კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.
- პირველ ეტაპზე კომისია წარმოდგენილი განცხადებების მიხედვით მოახდენს კანდიდატების გადარჩევას და დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ პირებს.
- მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით. განაცხადები მიიღება 2023 წლის 24 მარტიდან 07 აპრილის ჩათვლით ელექტრონულად (HR@ajaratv.ge).
გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2023 წლის 20 აპრილი ;
საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე
საკონტაქტო ინფორმაცია: 577 23 26 07
საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge

შენიშვნა:
1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება ან დოკუმენტაცია წარმოადგინოს მატერიალური სახით;
2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;